მათემატიკურ დებულებათა დამტკიცების პრობლემა სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე

ნონა გორგილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მათემატიკის დიდაქტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მათემატიკის მასწავლებელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკატერინე კორძაძე,

მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნონა, გორგილაძე, 18.06.2016”.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემა არის მათემატიკურ დებულებათა დამტკიცების პრობლება სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე. განხილულია შემდეგი საკითხები: 1)როგორ უნდა მოხდეს მსჯელობა-დასაბუთების უნარის ფორმირება საბაზო საფეხურის საწყის ეტაპზე; 2) რა აქტივობებმა უნდა უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმით (შემდგომში ესგ) განსაზღვრული არგუმენტირებულ მსჯელობასთან დაკავშირებული შედეგების მიღწევა. ამისათვის ამ ნაშრომში განხილულია „დალინგერის“ მეთოდი და დაწვრილებით არის აღწერილი მეთოდის თითოეული ინტერვენცია, მიზნები, აქტივობები, შედეგები და შეფასებები.

დასახული მიზნის მისაღწევად და არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევა წარმატებით განხორციელდა და მიზანს მიაღწია - მოსწავლეებმა ცხოვრებისეული მაგალითებიდან გამომდინარე ისწავლეს მათემატიკურ დებულებებებზე არგუმენტირებული მსჯელობა დასაბუთებისათვის.

კვლევის შედეგი მნიშვნელოვანია იმდენად, რომ მოსწავლეებს გაუჩნდათ მოტივაცია გამოიმუშაონ ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობა-დასაბუთების უნარები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მსჯელობა, დასაბუთება, არგუმენტირება

მადლობა

მე, ნონა გორგილაძე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრი, მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ ეკატერინე კორძაძეს, ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

ასევე მადლობას ვუხდი ქ.თბილისის კერძო სკოლა „კაი ყმის“ დირექციასა და VII² კლასის მოსწავლეებს გაწეული თანამშრომლობისათვის.